GRASS REFORMANDA

ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 27
თარიღი: 22 01 2015 წ.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია

KA000064421979815

№332

16 / იანვარი / 2015 წ.

ა(ა)იპ „საქართველოს რეფორმების ასოციაციის დირექტორს, სერგი კაპანაძეს

ბატონო სერგი,

თქვენი 2014 წლის 4 დეკემბრის N807 (საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის რეგისტრაციის N1/14114; 8.12.2014) წერილის პასუხად გაცნობებთ, „საქართველოს მოქალაქეების მიერ უცხო ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების მიღების ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 26 მარტის N201 ბრძანებულებით დადგენილი წესის შესაბამისად, 2013 წელს განხორციელდა უცხო ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხული საქართველოს მოქალაქეების სწავლისა და სწავლასთან დაკავშირებული სხვა ხარჯების დაფინანსება კონკურსის (შერჩევის) საფუძველზე.

აღნიშნული ბრძანებულებით გათვალისწინებული ხარჯების დაფინანსების მიზნით, „საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 6 ივნისის N06/06/02 განკარგულების საფუძველზე, საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას გამოეყო 43058 ევრო, 333500 აშშ დოლარი, 118058 ინგლისური გირვანქა სტერლინგი და 38268 შვეიცარული ფრანკი. შესაბამისად, კონკურსის საფუძველზე შერჩეული 34 სტუდენტის სწავლის დაფინანსებისათვის საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ გადარიცხულია 1013534.42 ლარი.

კონკურსანტების შერჩევის პრინციპი და კრიტერიუმები გამოცემულ სამართლებრივ აქტებსა და კომისიის სხდომების ოქმებში არ არის ასახული.

აქვე გაცნობებთ, რომ სტუდენტების უცხოეთში გაგზავნის სხვა საპრეზიდენტო პროგრამების არსებობის შესახებ, რომლის ფარგლებშიც სარეზერვო ფონდიდან იქნა თანხა გამოყოფილი, ინფორმაცია არ გვაქვს.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის
პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი

ეკატერინე ჭითაშვილი